- თქვენი დაკავების ვადა 72 საათს არ უნდა აღემატებოდეს;
- უსაფუძვლო დაკავების შემთხვევაში, თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ კომპენსაცია სასამართლო წესით;
- თუ ფიქრობთ, რომ თქვენი უფლებები ირღვევა, მიმართეთ *მაშველი რგოლის* უწყებებს.

რეიდში მოვყევი და რა ვქნა?

რეიდი, იგივე სპეციალური საპოლიციო კონტროლი, ერთ-ერთი საპოლიციო ღონისძიებაა. რეიდის დროს თქვენ არ გერთმევათ არც ერთი ის უფლება, რომელიც ზემოთ აღვწერეთ. პირიქით, ამ დროს პოლიციელი ვალდებულია, თქვენთან კონტაქტისას აღჭურვილი იყოს სამხრე კამერით და თავად იღებდეს თქვენთან შეხვედრას. პოლიციელს შეუძლია მოგთხოვოთ იდენტიფიკაცია, გამოკითხვა, ზედაპირული შემოწმება, დასაბუთებული ვარაუდისას კი - ჩხრეკა, თუმცა თქვენ არ უნდა დაიბნეთ და გახსოვდეთ, რომ სარგებლობთ ყველა უფლებით, რომელიც პოლიციელთან სხვა, ჩვეულებრივი შეხვედრისას გაქვთ და ზემოთ წარმოგიდგინეთ.

ვინ არიან მაშველი რგოლის უწყებები?

თუ ამ ბუკლეტიდან გაიგეთ, თუ რა უფლებები გაქვთ, მაგრამ პოლიციელი არც თქვენ გიჯერებთ და არც ბუკლეტს, მაშინ ისეთ უწყებებს უნდა მიმართოთ, რომელიც პოლიციელს თქვენს სიმართლეში დაარწმუნებენ. აუცილებელია გახსოვდეთ, რომ პოლიციელთან კონტაქტის დროს დაუშვებელია მისთვის წინააღმდეგობის გაწევა, გაქცევა, ან ხელის შეშლა კანონიერ პროცედურებში.

კანონის ფარგლებში თქვენი უფლებების დასაცავად შეგიძლიათ ნებისმიერ დროს დაუკავშირდეთ შემდეგ უწყებებს:

- სახელმწიფო ინსპექტორის აპარატის ცხელი ხაზი[1]: **991**;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზი[2]: **126**;
- სახალხო დამცველის ცხელი ხაზი[3]: **14 81**.

აღნიშნულ უწყებებთან კავშირი არ ჩაითვლება პოლიციელის საქმიანობისთვის ხელშეშლად.

[1] მიმართეთ, თუ პოლიციელმა თქვენ მიმართ ჩაიდინა დანაშაული. მაგალითად, მოგაყენათ ფიზიკური შეურაცხყოფა, დაგემუქრათ, უკანონოდ შეგიზღუდათ თავისუფლება და სხვა.

[2] მიმართეთ, თუ პოლიციელმა დაარღვია ეთიკის წესები, მოგაყენათ სიტყვიერი შეურაცხყოფა და სხვა.

[3] მიმართეთ ნებისმიერი უფლებადარღვევის შემთხვევაში.

სახალხო დამცველის ოფისები

თბილისი

- დავით აღმაშენებლის გამზირი N150
- სადღეღამისო ცხელი ხაზი: 1481
- info@ombudsman.ge
- https://www.fb.com/OmbudsmanofGeorgia/

ცხელი ხაზი 1481

ბათუმი

- დუმბაძის N10
- 0422 27 60 32
- 577 50 52 31

ქუთაისი

- შოთა რუსთაველის N18
- 0431 25 33 50
- 577 55 33 81

გორი

- სამების ქ. N1
- 0370 27 05 49
- 551 66 14 77

ზუგდიდი

- მერაბ კოსტავას N58
- 0415 22 36 11
- 595 52 53 56

ზემო სვანეთი

- მესტია, სეტის მოედანი N19
- 591 50 82 62

მარნეული

- შოთა რუსთაველის N51
- 0357 22 19 70
- 595 52 53 57

ოზურგეთი

- ილია ჭავჭავაძის N14
- 0496 27 30 53
- 599 49 48 59

ახალქალაქი

- ილია ჭავჭავაძის N4
- 0362 22 32 83
- 591 96 88 82

თელავი

- სააკაძის მოედანი N1
- 0350 27 99 27
- 591 88 35 38

www.ombudsman.ge

წინამდებარე პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის დახმარებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ სახალხო დამცველის აპარატი და პუბლიკაციის შინაარსის ევროკავშირის პოზიციად აღქმა დაუშვებელია.

ევროკავშირი საქართველოსთვის
Human Rights 4All

რა (არ) გავაკეთო, როცა პოლიცია მაჩერებს?

საქართველოს სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN) OF GEORGIA

რა (არ) გავაკეთო, როცა პოლიცია მაჩერებს?

დანაშაულის პრევენცია, მართლწესრიგის დაცვა და ადამიანის უფლებების პატივისცემა პოლიციის მთავარი ფუნქციებია. პოლიციელი თქვენს უფლებებს უნდა იცავდეს, თუმცა მასთან კონტაქტმა შეიძლება დაგაბნიოთ კიდეც, თუ საკუთარ უფლებებში კარგად ვერ ერკვევით. ეს სახელმძღვანელო დაგეხმარებათ პოლიციელთან შეხვედრის თითოეული ეტაპის უკეთ აღქმასა და სწორი ნაბიჯების გადადგმაში, გაგარკვევთ საკუთარ უფლება-მოვალეობებში და გაცნობებთ, თუ რა შეგიძლიათ მოითხოვოთ და რა ეწინააღმდეგება კანონს.

პოლიციელთან შეხვედრისას

პოლიციელი, როგორც წესი, ატარებს სამსახურებრივ უნიფორმას. თუ ასე არაა, შეგიძლიათ მოითხოვოთ პოლიციელის სამსახურებრივი მოწმობის წარმოდგენა, რათა დარწმუნდეთ, რომ ნამდვილად სამართალდამცავს ესაუბრებით.

- ჰკითხეთ პოლიციელს სახელი და გვარი;
- დაიმახსოვრეთ პოლიციის ეკიპაჟის ან ავტომანქანის ნომერი;
- სთხოვეთ პოლიციელს სამხრე კამერის ჩართვა;
- თავად გადაიღეთ პოლიციელთან შეხვედრა.

თუ პირადობის მოწმობას გთხოვენ

პოლიციელს უფლება აქვს, შესაბამისი საფუძვლის არსებობისას, მოგთხოვოთ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ჩვენება. თქვენ ვალდებული ხართ, შეასრულოთ ეს მოთხოვნა, ან, თუ დოკუმენტი თან არ გაქვთ, დათანხმდეთ ფოტოსურათის გადაღებას. ამ დროს:

- უფლება გაქვთ იცოდეთ, რა საფუძვლით ხდება თქვენი იდენტიფიკაცია;
- მოითხოვოთ შესაბამისი ოქმის შედგენა, ოქმის გაცნობა და შენიშვნის გაკეთება;
- სურათის გადაღების პროცესი არ უნდა იყოს დამამცირებელი.

რა შეიძლება გკითხოთ პოლიციელმა?

პოლიციას აქვს მოქალაქეების გამოკითხვის უფლება. გამოკითხვა ნებაყოფლობითია და შეგიძლიათ უარი განაცხადოთ ინფორმაციის მიწოდებაზე. თუმცა გაითვალისწინეთ, რომ პოლიციასთან თანამშრომლობა მნიშვნელოვანია მართლწესრიგის დაცვისა და კანონსაწინააღმდეგო ქმედებების პრევენციისთვის, სხვა პირთა უფლებების დასაცავად.

პოლიციელს შეუძლია გამოგკითხოთ ვინაობა, გადაადგილებასა და საქმიანობაზე, თუმცა კითხვები არ უნდა გასცდეს იმ საფუძველს, რომელიც პოლიციელს შეხვედრისთანავე სთხოვეთ რომ განემარტა. თუ ფიქრობთ, რომ პოლიციელი თქვენ გავიწროვებთ, გემუქრებათ, ან არაპროფესიონალურად მოქმედებს, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ *მაშველი რგოლის* უწყებებს. ამასთან, 14 წლამდე პირის გამოკითხვა მხოლოდ მშობელთან ან კანონიერ წარმომადგენელთან ერთად შეიძლება.

შეიძლება თუ არა თქვენი გაჩხრეკა?

კანონმდებლობა ორგვარ „ჩხრეკას“ იცნობს. პოლიციელს აქვს უფლება, შესაბამისი საფუძვლების არსებობისას, მოახდინოს თქვენი ზედაპირული შემოწმება, რაც მხოლოდ ტანსაცმლის გარე ზედაპირზე ხელით ან ხელსაწყოთი შეხებას გულისხმობს. ანალოგიურად, მანქანის ზედაპირული შემოწმება გულისხმობს მის გარეგან ვიზუალურ დათვალიერებასა და საბარგულის ნახვის უფლებას. ამ დროს თქვენ უფლება გაქვთ:

- იცოდეთ, თუ რა საფუძვლით ხდება ზედაპირული შემოწმება;
- არ მისცეთ პოლიციელს ჯიბეში ხელის ჩაყოფის უფლება;
- არ მისცეთ სხეულის რომელიმე ნაწილის გაშიშვლების შესაძლებლობა;
- შეგამოწმოთ მხოლოდ თქვენივე სქესის პოლიციელმა;
- დაესწროთ მანქანის ან სხვა ნივთის ზედაპირულ შემოწმებას;
- არ იყოთ გაჩერებული 30 წუთზე მეტხანს;
- მოითხოვოთ ოქმის შედგენა და მისი გაცნობა, ასევე მასში შენიშვნის შეტანა.

და „მეორე სახის ჩხრეკისას“ რა ხდება?

თუ ზედაპირული შემოწმებისას დასაბუთებული ვარაუდი გაუჩნდა, რომ აკრძალული ნივთი გაქვთ, ან დანაშაულში მონაწილეობთ, პოლიციელს აქვს უფლება, გაგჩხრიკოთ. ეს პირადი ჩხრეკაა, რაც საპოლიციო ღონისძიებებს სცდება და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით რეგულირდება. ეს ნიშნავს, რომ საქმე უფრო სერიოზულადაა, რაც თქვენს უფლებებსა და მოვალეობებზეც აისახება. ამ დროს თქვენ უფლება გაქვთ:

- გაეცნოთ ჩხრეკის შესახებ დადგენილებას ან განჩინებას (თუ ჩხრეკას ზედაპირული შემოწმება არ უძღოდა წინ);
- ნებაყოფლობით წარადგინოთ ნივთი ჩხრეკის დაწყებამდე;
- ჩხრეკა მოითხოვოთ თქვენი პატივისა და ღირსების შესაბამის გარემოში;
- თუ ჩხრეკას გაშიშვლება სდევს თან, იგი ჩაატაროს მხოლოდ თქვენი სქესის პირმა;
- გაეცნოთ ჩხრეკის ოქმს, გააკეთოთ მასში შენიშვნა;
- დაუკავშირდეთ თქვენს ადვოკატს, ან *მაშველი რგოლის* უწყებებს (თუმცა გახსოვდეთ, რომ ეს არ გამოიწვევს ჩხრეკის შეჩერებას ან გადადებას).

რა გავაკეთო, როცა მაკავებენ?

დაკავება ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ნაწილია და იგი მხოლოდ სასამართლოს განჩინებით, ან გადაუდებელი აუცილებლობისას შეიძლება. დაკავების დროს პოლიციელს წინააღმდეგობა არ უნდა გაუწიოთ. მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვისთანავე თქვენ დაკავებულად ითვლებით. ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, თქვენ მრავალი უფლებით სარგებლობთ (და პოლიციელი ვალდებულია განგიმარტოთ აღნიშნული უფლებები), როგორიცაა:

- იცოდეთ რაში გედებათ ბრალი;
- გაქვთ უფლება ადვოკატზე, დუმილისა და კითხვებზე პასუხის გაცემისაგან თავის შეკავების უფლება; უფლება, არ დაიბრალოთ დანაშაული; და რომ ყველაფერი, რასაც იტყვით, შესაძლებელია თქვენ წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული სასამართლოში;
- თქვენ გაქვთ უფლება, გაეცნოთ დაკავების ოქმს, რომელიც დეტალურად უნდა ასახავდეს დაკავების საფუძველსა და გარემოებებს;
- დაკავების ოქმზე შეგიძლიათ გააკეთოთ შენიშვნა;
- თქვენ დაუყოვნებლივ უნდა მიგიყვანონ პოლიციის უახლოეს განყოფილებაში;
- დაკავებიდან არაუგვიანეს 3 საათისა უნდა აცნობონ ამის შესახებ თქვენი ოჯახის წევრს, ნათესავს ან ახლობელს;
- თქვენ გაქვთ უფლება, ჯანმრთელობის მდგომარეობის დასადგენად შეგამოწმოთ ექიმმა;